1-ს იანვარს | წელიწადი მესამე. | 1885 წელსა.

# მწყემსი

## № 1.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი" რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси" (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გარკვევით და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: ახალი წელიწადი.—თბილისის გუბერნიის სამღვდელოთა მომავალი ეპარხიალური კრების საყურადღებოდ.—სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების შეკრებილება ქ. ახალ-სენაკში.—ორიოდე სიტყვა ანტონ კათალიკოზის „მზა-მეტყველებაზე."—გორის ჯვრის ეკკლესია დ მისი ისტორიული ნაშთები.—საისტორიო მასალები: კათალიკოზის ანტონ პირველის კათოლიკობა, კათალიკოზი ანტონ მეორე და მისი დრო.—ირაკლი დ მისი დრო ლექსად.—სხვა-დ-სხვა ამბები დ შენიშვნები.—ჟურნალ გაზეთთაგან.—მოძღვრება ახალ წელიწადს.—განცხადებანი.

## ახალი წელიწადი.

„გილოცავთ ახალ-წელიწადს, ახალის ბედნიერებით". აი ეს არის ჩვეულებრივი სიტყვები, რომლებსაც მონათესავენი და ნაცნობნი შეხვედრის დროს ეტყვიან ერთმანეთს ახალ-წლის დამდეგს. ყოველივე მწუხარება და განსაცდელი ძველი წლისა დაივიწყება ხოლმე ახალი-წლის დამდეგს და ახალ წელიწადს, რაღაცა გასაოცარი მიზეზისა გამო, შევეგებებით სხვა-და-სხვა დიდის იმედებით. თითქო დარწმუნებულნი ვართ, რომ ის, რაც არ მოხერხდა და არ შესრულდა ძველ წელში, უთუოდ ახალ წელიწადში აღსრულდება! ღმერთმაც ნუ ჰქნას, რომ ეს ასე არ იყოს. კაცი იმედებით სცხოვრებს და მას რომ ეს იმედი არ ექმნეს, მისი ცხოვრება ცხოვრება კი არ იქმნება, არამედ ტანჯვა და წვალება; რომ ეს იმედი არ ამხნევებდეს კაცს და ის არ აძლევდეს სიცოცხლისა და მოქმედებისათვის საჭირო ღონეს და ძალას, მაშინ კაცის ცხოვრება გრომათ არ ეღირებოდა. მართლაც ასე არის. კაცი ყოველს ახალ-წელს ეგებება დიდის იმედებით, მაგრამ წლის გამთავეს რწმუნდება თავის იმედების აღუსრულებლობაში. ამაში გამოცდილებით დარწმუნებულია, მაგრამ ის მაინც არ იშლის თავისას; მას მაინც დიდი იმედი აქვს ახალი დამდგარი წლისა. ჩვენც ამ იმედით მოგილოცავთ, ჩვენო საყვარელო მკითხველო, ახალ-წელს, ახალი ბედნიერებითა. ვისურვებთ თქვენთვის კეთილ და ტკბილ ცხოვრებას; ვისურვებთ თქვენთვის ყველა კეთილი სურვილის აღსრულებას...

გადავავლოთ თვალი ძველ 1884 წელიწადს.

ძველი წელიწადი გავისტუმრეთ. ერთი წლით მივუახლოვდით ჩვენს უკანასკნელ დღეს! ვემდუროდით 1883 წელსა, მაგრამ არაფერი კეთი-

ლი არ მოუტანია ამ წარსულ ძველ წელსაცა. დიდი იმედები გვქონდა **1884** წლისა; ველოდით ხალხში ცოტა ზნეობის ამაღლებას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებათა მოსპობას და სხვათა და სხვათა. მაგრამ **1884** წელმა ძლიერ მოგვატყუა. კაცის კვლა, ეკკლესიების ცარცვა-გლეჯა, დაუნდობლობა, უპიროულობა, ხაზინის და სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა ფულების ყუთების მტვრევა საოცრად გახშირდა; როგორც საშიშარი გადამდები სენი, ეს არა სანატრელი მოვლენა, ვრცელდება სალხში და საოცრად ვრცელდება. ამ სამწუხარო მოვლენას ყველა ხედავს და გრძნობს; ყველა ხედავს და სწუხს. ისღა დაგვრჩენია მარტო სანუგეშოდ, რომ ამ ზნეობითი ხალხის დაუძლურებაზე თვითონვე ხალხში ზოგიერთები სწუხრან და მზა არიან იხმარონ ყოველ ნაირი ზომები და საშუალებანი, რომ როგორიმე გზით მოისპოს ეს არა სანატრელი მოვლენანი. სწუხს ამაზე უმაღლესი მართებლობაცა და თავის მხრით ხმარობს სხვა-და-სხვა ზომებს ხალხში დაცემული ზნეობის აღდგინებისათვის.

ყველანი: დიდი და პატარა, ნასწავლი და უსწავლელი ვალდებულნი არიან დაეხმარონ მართებლობას და ეცადონ ხალხში კეთილ ზნეობის დამყარებას, ურომლოთაც ხალხის კეთილ დღეობა მოუხერხებელია.

მწყემსთა მოვალეობა ამ შემთხვევაში დიდი არის. სხვებთან მწყემსნიცა დიდ პასუხის გებაში ვართ ჩავარდნილნი. ჩვენის ნებით აგვიღია ტვირთი ძნიად საზიდავი და არ ვცდილობთ ამ ტვირთის რიგიანად ზიდვას. ცხოვართა აღარ ესმისთ ჩვეულებრივი მწყემსთა ხმა და იბნევიან იგინი. რასაკვირველია, ეხლანდელი დროის საზოგადო ზნეობრივი სენის წინაამდეგ არა მარტო სამღვდელოება, არამედ მთელი საზოგადოება უნდა იბრძოდეს, მაგრამ ამ საზოგადოებაში სამღვდელოებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს. არა ერთჯერ გამოგვითქვამს ჩვენ, რომ სამღვდელოება სანთელი უნდა იყოს თავის სამწყსოთა თვის, მწყემსნი სახედ უნდა ექმნენ თავიანთ სამწყსოთა, **სიტყჳთა, სვლითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა და სიწმიდითა.** მწყემსთა ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ეს მოციქულის სიტყვები; ნიადაგ უნდა გვახსოვდეს მწყემსთა აგრეთვე მოციქულის პავლეს შემდეგი სიტყვები: **ჰქადაგე სიტყუაი, ზედა-ადეგ ჟამითი ჟამად, ამხილე, შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღვრებითა.**

წლის ბოლოს ყოველი თანამდებობის პირი ანგარიშს აძლევს თავის უმფროსს. აბა, მივიხედოთ უკან და გადავავლოთ თვალი ჩვენ ნაღვაწს წარსულ წელში. რამდენი სამოძღვრო სიტყვა უთხარით ჩვენ სამწყსოთა და რა გავლენა იქონია ჩვენმა მოძღვრებამ? რა ღონის ძიება ვიხმარეთ ხალხში ქრისტიანობრივ სწავლისა და ზნეობის გასავრცელებლად?

ამ დროს, როდესაც ჩვენ გაჩუმებულვართ, ცხრა მთასა და ზღვას იქეთ მცხოვრებნი მოდიან ჩვენში და ჩვენ სამწყსოსთა აწოდებენ თავიანთ მავნე სულიერ საზრდოს.

**1884** წელიწადი საზოგადოებისათვის თუ დიდი შესანიშნავი არ იყო, ჩვენ სამღვდელოთათვის მაინც ფრიად შესანიშნავია. **13** ივნისს **1884** წელსა სამღვდელოებას დაუბრუნდა ის პატივი და უფლება ახალ თაობის აღზრდის საქმეში, რომელსაც იგი დიდი ხანია, რაც მოკლებული იყო. ამ დღიდგან სამღვდელოებაზე არის მიქცეული ყველას ყურადღება. ამ დრომდისინ თუ სამღვდელოებას წინ ელობებოდა ათას ნაირი სხვა-და-სხვა მიზეზები თავის მოვალეობის აღსრულებაში, ეხლა, იმედია, ერთი ამისთანა უმთავრესი მიზეზი მოიშალა და, იმედია, სამღვდელოებაზე დადებული იმედი გამართლდება საქმით.

მოგილოცავთ ახალ-წელს ახალის უფლებით, ღმერთმან მოგვცეს ძალა და ღონე ჩვენი მძიმე ტვირთის საზიდავად ჩვენდა სამწყსოთა სასარგებლოდ.

## თბილისის გუბერნიის სამღვდელოების მომავალი ეპარქიალური კრების საყურადღებოდ.

ყველა მღვდელი გაიგებდა უკვე, რომ ამ ბოლოს დროს მეტად შემცირდა წმიდა სანთლის ვაჭრობა, რის გამოც მომავალ ეპარქიალურ კრებას თბილისში, სხვათა შორის, ექმნება სჯა იმაზედ, თუ როგორ მოსპოს ეს სენი. ეს საგანი მით უფრო საყურადღებოა, რომ ამ ვაჭრობიდგან შემოსული ფული არის უმთავრესი და თითქმის ერთად ერთი წყარო ჩვენი სასულიერო სასწავლებლებისა და უმეტესი ნაწილი ეკკლესიებისა და, მაშა სადამე, შემცირება, ან მოსპობა ამ წყაროსი უნდა იყვეს, უეჭველად, მიზეზი სასწავლებლების უკან წასვლისა ნივთიერის მხრით და შეიძლება მოსპობისაც...

მიზეზი ამ სანთლის ვაჭრობის შემცირებისა, როგორც ვიცით, ბევრ ნაირია, მაგრამ მე მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა მხოლოდ ერთს იმათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განზედ, რადგანაც ამისი მოსპობა სამღვდელოებას სრულებით არ გაუჭირდება. საქმე იმაშია, რომ მთელს ქართლში, არ ვიტყვი იმერეთსა და კახეთზედ, რადგანაც არ ვიცი საქმე, ზოგიერთი მღვდლები, სამწუხაროდ, ამ ვაჭრობაში ხელ-მძღვანელობენ პირადი ინტერესებით.

ზოგიერთი მღვდლები იმდენს სანთელს არ იწერენ ეკკლესიის ფულით, რამდენიც გაისყიდება მათ ეკკლესიაში და სამრევლოში და არც იმ ადგილებიდამ ყიდულობენ, საიდამაც ყველა მღვდლები უნდა ყიდულობდნენ სანთელს.

ამასთან უნდა ვსთქვათ, სამწუხაროდ, რომ ზოგიერთი მღვდელი არ ჳყიდის სანთელს გადაკვეთილი ფასის კვალობაზე. ამისთვის უმეტესობას წინათვე აქვს ნასყიდი მეწვრიმალესაგან სანთელი და ეკკლესიაში წასვლის დროს მიაქვს თანა. ამ ნაირათ, მიზიდვის მაგიერათ, ზოგან თითონვე მღვდელი აფთხობს ხალხსა და ამით უმცირებს შემოსავალს ეკკლესიებს და სასწავლებლებს. ყველა ამას გარდა, თუმცა ხშირად ხედავენ, რომ იმათ სამრევლოში მეწვრიმალეები ხშირათა ჳყიდიან სანთელსა, მაგრამ სრულებით უყურადღებოთა სტოვებენ, თითქო იმათ არაფერი შეეხებათ. კარგი იქნებოდა, რომ მღვდლებმა თავიანთ მხრით მოსპონ ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზი სანთლის ვაჭრობის კარგათ წასვლისა და ხალხს ჩააგონონ სარგებლობა სანთლის თავიანთ ეკკლესიაში ყიდვისა, რომ ამითი ეკკლესიას ემატება შემოსავალი და, მაშა სადამე, იმათ აღარ მოუნდებათ გასწიონ ცალკე ხარჯი ეკკლესიისათვის. ამ ნაირი ცდილობით შეუძლიან დაიკვეხოს მხოლოდ ცხინვალის ბლაღოჩინმა, რომელიც გულ-მოდგინებით ებრძვის, რამდენადაც შეუძლიან, ყველა ნაირ ხელის შემშლელს მიზეზს ამ საქმის კარგათ დაყენებაში და, როგორც ამბობენ, ამ ნაირ გულ-მოდგინების ნაყოფი ცხადათ გამოჩნდაო, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

ქართლელი.

---

## სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა შეკრებილება დ. ახალ-სენაკში.

გარსული დეკემბრის 17, 18 და 19 რიცხვებში ახალ-სენაკში იყო სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა შეკრებილება. ამ კრებაზე დაესწრო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. 18 დეკემბერს დილით კრებაში შებრძანდა ყოვლად სამღვდელო, რომელმაც განუმარტა დეპუტატებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ზნეობრივ აღზრდას, თუ როგორ დაცემულია ეხლა ჩვენს ხალხში ზნეობა და რა არის ამის მიზეზი; მიაქცია აგრეთვე სამღვდელოების ყურადღება საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებაზე, როგორც პირ-და-პირ საშუალებას ზნეობის აღდგენისა და წარმატებისათვის. ამიტომ ყოვლად სამღვდელომ სთხოვა მწყემსთა, რათა მათ ენერგიულად და დაუყონებლივ მოჰკიდონ ამ ძვირფასს საქმეს ხელი. მეორე საგანი, რომელზედაც კრების ყურადღება მიაქცია ყოვლად სამღვდელომ, იყო სასწავლებელი და განსაკუთრებით ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლისთვის სახლის აღშენება. ყოვლად სამღვდელომ ურჩია კრებას, რომ მათ სთხოვონ უწმიდესს სინოდს სესხად ოცდა ათი ათასი მანეთი სასწავლებლის სახლის აღშენებისთვის, რადგან სამღვდელოებას საკმაო ფული არა აქვს ამ საქმისთვის და სახლი კი მალე უნდა აღშენდეს. ბოლოს ყოვლად სამღვდსლომ ურჩია დეპუტატებს, რომ მათ ყველა საგნებზე, რომლებზედაც ექნებათ მსჯელობა, მოიფიქრონ და კანონიერი განაჩენი დაადგინონ. ამის შემდეგ ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა ქ. ქუთაისში და კრება შეუდგა საქმეების განხილვას მღვდლის თ. ხოშტიას თავს-მჯდომარეობით.

პირველი საგანი, რომელზედაც კრებას ჳქონდა მსჯელობა, იყო სასწავლებლისთვის სახლის აღშენება. ამ საგანზე დიდი ბაასი ატყდა. ბევრი დეპუტატები ამბობდნენ: მართალია, რომ სასწავლებლის შენობისთვის ბევრი ფული დაგვჭირდება, მაგრამ, ფულების სესხება სინოდისაგან არ შეიძლება, რადგან ეს ფულები რომ დროზე ვერ მივსცეთ უწმიდეს სინოდს, მაშინ ეს უკანასკნელი მთლად გაგვიყიდის ადგილ-მამულს და სახლ-კარსა და ამიტომ სასწავლებლის სახლის აშენებისთვის ის ფულები ვიხმაროთ, რომელიც მომავილი სემინარიისთვის გადავდევით, რადგან მთავრობა, როგორც ამბობენ, ნებას არ გვაძლევსო, რომ ქ. ქუთაისში სემინარია გავხსნათო. ამ დროს „მწყემსის" რედაქტორმა, რომელიც ამ ყრილობაზე დაესწრო, დაინახა თუ არა, რომ სამღვდელოება ვერ არჩევს უწმიდესი სინოდის ვალს საადგილ-მამულო ბანკის ვალიდამ, ითხოვა თავს-მჯდომარისაგან ნება ორიოდე სიტყვის თქმისა ამ საგნის შესახებ და მდაბიურად აუხსნა კრებ ა თუ რა განსხვაება არის სინოდის და ბანკის ვალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა; თავის მხრით ურჩია კრებას, რომ მათ ესესხათ ფულები უწმიდესი სინოდისაგან, რადგან ამ ვალის გადახდა სამღვდელოებისთვის ძალიან საადვილოა და დიდ ბედნიერებად უნდა ჩათვალონ, თუ უწმიდესი სინოდი დათანახმდა მათ თხოვნაზე. მ. ღამბაშიძის სიტყვებმა კარგი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოდ დეპუტატებზე ასე, რომ ზოგიერთებმა კიდეც გამოაცხადეს სრული თანხმობა ფულის სესხობაზედ, მაგრამ ამ დროს სხდომა დაიხურა რამდენიმე საათით და შეიქმნა დეპუტატთა შორის მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ. ბოლოს, ჩვენდა სამწუხაროდ, კრებამ ამ საგნის შესახებ დაადგინა შემდეგი განაჩენი: „შესდგეს კომისია ხუთი სამღვდელო პირისაგან, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის წინაშე, რომ სამეგრელოს სამღვდელოებას მოხმარდეს სასწავლებლის სახლის ასაშენებლად სემინარიისთვის გადადებული ფულები, რადგანაც სინოდს უარი განუცხადებია საშუალების უქონლობისა გამო სემინარიის დაარსებაზე ქ. ქუთაისში.“ ამ კამისიამ უნდა შეჰკრიბოს აგრეთვე ყოველივე ცნობა, თუ საიდამ და რომელი წყაროდამ უნდა მოიკრიფოს დანარჩენი ფულები მომავალი სასწავლებლის შენობისთვის. მეორე საგანი, რომელზედაც კრებას ჰქონდა მსჯელობა, იყო საეკკლესიო გალობის ნოტებზედ გადაღება. კრებამ ამ საქმისთვის აღმოირჩია კომისიის წევრებად ოთხი სამღვდელო პირნი, რომელნიც უნდა შეუერთდენ იმერეთის სამღვდელოებისაგან ამორჩეულ კამისიას და ერთად იმოქმედონ ამ საქმის შესახებ. ამასთანავე სამღვდელოებამ დანიშნა ქართული გალობის მასწავლებელისთვის სამასი მან. ჯამაგირად. აქამომდე სენაკის სასულიერო სასწავლებელში არ იყო საკუთარი მასწავლებელი ქართული საეკკლესიო გალობისა და ეხლა, იმედია, ქართული საეკკლესიო გალობის საქმე კარგად წავა ამ სასწავლებელში. ამავე კრებაზე გამოცხადდა ვიღაც გურული ჭილაძე და ითხოვა, რომ გალობის მასწავლებლობის ადგილი მას მისცემოდა ამ სასწავლებელში. კრებამ განაცხადა, რომ უ. ჭილაძე იქმნეს გამოცდილი ქართული საეკკლესიო გალობის მცოდნე პირებისაგან და, თუ ჭილაძე ღირსი აღმოჩნდება, მიეცეს მას მასწავლებლობის ადგილი.

შემდეგ კრებამ განიხილა სასწავლებლის სამმართველოსაგან წარმოდგენილი მომავალი წლისთვის სასწავლებლის შესანახავად ხარჯთა აღრიცხვა (СМѢТА) და კრებამ ეს ხარჯთა აღრიცხვა შეუცვლელად დაამტკიცა. ამასთანავე სასწავლებლის ზედამხედველმა უ. ბრიაზნოიმ წარუდგინა კრებას ანგარიში შესავალ-გასავლისა დროდამ მისის დანიშვნისა სამეგრელოს სასწავლებლის ზედამხედველად; კრებამ განიხილა ეს ანგარიში და, თავის სასიხარულოდ დაინახა, რომ სამი ათასი მანეთი გადარჩენილა ამ ხანში სასწავლებლის შესანახავედ შეტანილს ფულებს, რისთვისაც გულითადი მადლობა გამოუცხადა კრებამ უფ. ზედამხედველს წერილობით და სიტყვიერად სასწავლებლის ეკონომიური მხარის და ყოველივე მისი საქმის წინ წაწევისათვის. უ. ზედამხედველმა თავის მხრითაც მადლობა შესწირა კრებას ამისთანა თანაგრძნობისათვის და აღუთქვა მათ, რომ ერთი კაპეიკიც არ დაიხარჯება უბრალოდ მათი ფულებიდამ, რადგანაც მეც ვიცი თქვენი ნივთიერი მდგომარეობაო. გარდა ამისა, კრებას ბევრს სხვა საგნებზედაც ჰქონდა მსჯელობა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ ამ საგნების მოყვანა არ შეიძლება, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ უკანასკნელმა სამღვდელოების კრებამ უფრო ნაყოფიერად ჩაიარა და უფრო კარგად განიხილა ყოველი საგანი, ვინემ წარსულმა კრებამ, რომელსაც ოცი საგანი მეტი ჰქონდა განსახილველად და ერთიც არ განუხილავს ისე, როგორც მოითხოვდა სასწავლებლის მდგომარეობა.

სამღვდელოება ამ კრებაზე დაიმსახურებდა თავის მთავრობის ყურადღებას და გამოიჩენდა სასწავლებლისადმი თავის თანაგრძნობას, რომ გადაეწყვიტა უწმიდესი სინოდისაგან ოცდა ათი ათასი მანეთის სესხება და დროიანათ შესდგომოდა სასწავლებლისთვის სახლის აშენებას, რადგან სასწავლებელს ეხლა არ აქვს შესაფერი სახლი და იმაშიაც დიდ ქირას იხდის სამღვდელოება. კრებაზე დავრწმუნდი, რომ მიზეზი მისსა, რომ სამღვდელოებამ უარი განაცხადა სინოდისაგან ფულების სესხებაზე და არც არაფერი გადაწყვეტილი განაჩენი დაადგინა სასწავლებლის სახლის აშენების შესახებ, მხოლოდ დანიშნა კომისია, რომელმაც შეიძლება ორ წელსაც არ მისცეს კრებას თავის მოსაზრება განსახილველად, არის შემდეგი: უმეტეს ნაწილს სამღვდელოებისას არა სურს, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი დარჩეს ახალ-სენაკში და ამიტომ ამისთანა უთანხმოებით უნდათ გააზვიადონ სასწავლებლის შენობის საქმე და წინ წასწიონ. მაგრამ ხელმეორედ იმ კითხვის აღდგენა, თუ სად უნდა იქნეს სამეგრელოს სასწავლებელი, მის შემდეგ რაც უბედურება გამოსცადა ამ სასწავლებელმა თავის თავზე, უადგილოთ მიგვაჩნია. ჩვენ რამდენათაც ვიცით სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი ახალ-სენაკში არსებობს

აგერ სამი წელიწადი და ყოველის მხრით სასწავლებლის საქმე კარგად მიდის. ვიმეორებ, რომ ყოველი კითხვა ახალ-სენაკიდამ სასწავლებლის სხვა ადგილს გადატანაზე ავნებს სასწავლებელის კეთილ დღეობას და წარმატებას. ამასთანავე ვისურვებთ, რომ დანიშნულმა კამისიამ, რომელმაც ყოველივე ცნობები უნდა შეჰკრიბოს მასზე, თუ რა წყაროებიდგან უნდა მოჰკრიფოს სამღვდელოებამ ფულები სასწავლებლის შენობის ასაშენებლად, დააჩქაროს საქმე და კიდეც დაარწმუნოს სამეგრელოს სამღვდელოება, რომ სინოდისაგან ფულების სესხად აღება იმათთვის არ შეადგენს დიდ ტვირთს და ადვილად გაისტუმრებენ ისინი ამ ვალს.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი

ერმალოზ ქანდელაკი.

---

## ორიოდე სიტყვა ანტონ კათოლიკოზის „მზა მეტყველებაზე“.

(საქართველოს კათალიკოზის ანტონ პირველისა.)

საქართველოს კათალიკოზის ანტონ პირველის ნაწერებში სხვათა შორის, ერთი უპირატესი ადგილი უნდა მიეცეს მისგან შედგენილს ვრცელს თხზულებას სახელდობრ: — „მზა მეტყველება“-ს. ეს თხზულება შესდგება 600 გვერდისაგან და დაწერილია მეტის-მეტი წვრილი ხელით—ნუსხურით.

„მზა მეტყველებას“ არამც თუ მარტო ანტონ კათალიკოზის ნაწერებში უკავია პირველი ადგილი, არამედ მთელს ქართულს მწერლობაში. ამის მსგავსი საფუძვლიანი და უზარ-მაზარი თხზულება იმის შემდეგ არ დაწერილა და უნდა ვსთქვათ, რომ ეს წიგნი შესანიშნავია ჩვენს ძველს და ახალს მწერლობაში კი არა მარტო, არამედ მთელს დედა-მიწაზე და ყველა ხალხთა ენებზე უპირველესს წიგნათ ჩაითვლება, რადგანაც ამისთანა წიგნი, არც ბერძნულს და არც ლათინურს ენაზე არ მოიპოვება.

„მზა მეტყველების“ დაწერით ანტონ კათოლიკოზმა დიდი პატივი დაიმსახურა არამც თუ საქართველოში, არამედ მთელს საბერძნეთში, რომში, სირიაში და რუსეთში. როდესაც ეს წიგნი გამოვიდა ქართულს ენაზე, იმავ დროსავე ცნობილი იქმნა საბერძნეთის პატრიარხების წინაშე და როგორც შემიტყვია და მინახავს კიდეც პ. იოსელიანის ძველს წერილებში, ეს წიგნი იმავ დროს ბერძნულს ენაზედაც უთარგმნიათ და ბერძნულის ენიდამ ლათინურ ენაზედაც გადულიათ. ამ თარგმანის შესახებ, თვით საბერძნეთის პატრიარხს მოუწერია წერილი ანტონ კათოლიკოზისთვის და დიდი მადლობაც შემოუთვლია. თარგმნის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა და, უეჭველია, რომ ოდესმე აღმოჩნდება სადმე.

საბერძნეთის პატრიარხებმა „მზა მეტყველების“ გამო, ანტონ კათალიკოზს მერე გრიგორიუწოდეს. გამიგია ზოგიერთ მოხუც ბერთაგან, რომ „მზა მეტყველება“-ს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რომის პაპაზე, სომხეთის სამღვდელოებაზე და თითქმის ყველა იმათზედ, ვინც კი მართლ-მადიდებელი ეკკლესიისაგან განცალკევებულნი არიან. მრავალ მოხუცებულ ბერთაგან გამიგონია, რომ ანტონ კათოლიკოზმა „მზა მეტყველების“ წერა რუსეთში დაიწყო და ამ წიგნის შედგენას იმ ჰაზრით შეუდგა, რომ მას რუსეთის სინოდში თავი გაემართლებინა, რომ მე ტყუილათ დამწამეს საქართველოში კათოლიკის სარწმუნოებისადმი მიდრეკაო. პ. იოსელიანი, ცაგარელი, ჩუბინოვი, განვითარებული ბროსე, ბაქრაძე და მრავალიც სხვანი მოწმობენ, რომ ანტონ კათალიკოზმა „მზა მეტყველება“ რუთში დასწერა და ამით რუსეთის იმპერატრიცას წინაშე თავი იმართლაო.

ახლა განვამარტოთ, რომ თვით ამ პირთ მოხსენებათა წინააღმდეგ „მზა მეტყველებიდამვე“ მტკიცდება, რომ ეს წიგნი ანტონ კათალიკოზს რუსეთში კი არ დაუწყვია, არამედ საქართველოშივე ჰქონია დაწყებილი, რომლის შედგენაში ერთობ ეხმარებოდნენ თურმე იმ დროის თფილისის სომეხთა მოძღვარნი, რომელთაც კარგად იცოდნენ სომხური და ქართული ენა და ამასთანავე დიდი მეგობრული კავშირი ჰქონიათ ანტონ კათოლიკოზთანა. ამ საუკუნის საქართველოს ისტორიკოსნი ნამდვილად აღიარებენ, რომ ანტონ კათოლიკოზმა, მისრულმა რუსეთად, მალიად დასწერა „მზა მეტყველება“ და მით გაიმართლა თავიო. ესევე აღვიარა ჩუბინოვმა 1881 წ. ქ. თფილისში, სადაც ანტ. კათოლიკოზის შესახებ ლექციებს კითხულობდა.

ახლა მე მინდა ვიკითხო, ნუ თუ შესაძლებელი იქნებოდა ანტონ კათალიკოზისთვის, რომ რუსეთში მისვლისა თანავე დაეწერა იმისთანა უზარმაზარი ტომი, რომელსაც კაცი განცვიფრებაში მოჰყავს და რომლის შინაარსი დაფუძნებულია 700 ნაჩვენებს სხვა და სხვა ისტორიულს წიგნებზე და იმათ დამწერთ სახელებზე, როგორც რომაულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ბერძნულს, სომხურს, სირიულს, და ქართულს ენაზედ.

ჩვენ ნამდვილათ ვფიქრობთ, რომ ,,მზა მეტყველების'' წერა ანტონ კათალიკოზმა საქართველოშივე დაიწყო და იქმნება გათავებით კი რუსეთში გაათავა. ამ შესანიშნავის წიგნის შესავალში მოხსენებულია 100 მეტი სომხური ისტორიული წიგნები, რომელთა მოპოვებაზე სომეხთა მოძღვარნი მშველოდნენო. ნუთუ ამოდენა სომხურს წიგნებს ანტონი რუსეთში წაიღებდა და თავისაგან მოხსენებულთ სომეხთ მოძღვართაც თან წაიყვანდა? არა მგონია. ამ წიგნს მით უფრო დიდი ღირსება უნდა ჰქონდეს ქართველთათვის, რადგანაც ზოგიერთ ადგილებში ანტონ კათალიკოზს ქართველი ძველი მწერლების ნაწერებიდამ ადგილებიც მოჰყავს და ასახელებს ძველს წიგნებს და იმათ დამწერთა სახელებსაც; მაგალითად: არსენ კათალიკოზს, მალაქიას, იოანეს, დომენტის, ბესარიონს და სხვათაც მრავალთა, რომელთაც კი დაუწერიათ რამე ლათინთა, სომეხთა და ნესტორიანთა ეკკლესიის წინააღმდეგ.

ამ უზარ-მაზარი ტომის მეოხებით მკითხველი არამც თუ მარტო ქართველების ძველ საეკკლესიო და მეისტორიეთა ნაწერებს და მათს ვინაობას შეიტყობს, არამედ რომაელთა, ბერძენთა და განსაკუთრებით სომეხთა, სადაც უპირატესი ადგილი უკანასკნელთ სჭერია, და როგორაც სჩანს, ანტონ კათალიკოზს დიდი ყურადღება ჰქონია უფრო მიჰყრობილი სომხურს ენაზე დაწერილს წიგნებისათვის. ამ წიგნის გაცნობით, მკითხველი ნათლად გაიცნობს, მთელს საქართველოს წარსულს, ქართველ ბერ-მონოზონთა, მათ მოღვაწეობათა, საეკკლესიო მწერლობასა და სხვათა მრავალთა, რომელებზედაც არც ,,ქართლის ცხოვრება''-ში, არც ,,საქართველოს სამოთხეში'' და არცა რა სხვა რამ ისტორიულს წიგნებში სიტყვაც არ არის ნათქვამი.

საკვირველია ის, რომ ,,მზა მეტყველების'' ხელთ ნაწერი ეგზ. ერთობ ცოტაა მთელს საქართველოში. მე ვმოგზაურობდი ამ რვა წლის წინეთ, დავიარე საქართველოს მონასტრები და გარდა დავით გარეჰსჯის უდაბნოის ,,წიგნთ საცავისა'' მე არსად შემხვედრია, იქაც წიგნიც ვერ ვნახე თვალით, მხოლოთ ,,კატალოგშია'' მოხსენებული, რომ ,,მზა მეტყველება'', ქმნილი ანტონ კათალიკოზისო. ამ მონასტრებს გარდა მე მაქვს ძალიან ბევრი ძველი კატალოგები, მაგალითად იოსელიანისაგან მოპოვებულნი, ნ. გამრეკელისაგან, რომელთა გვარის არხიმანდრიტს შეუდგენია მეთვრამეტე საუკუნეში. ამათ გარდა მე მაქვს მრავალი სხვა-და-სხვა სიები, მაგრამ არსად ხსენება არ არის ამ წიგნისა. ერთ დროს, მე ბევრ უწარჩინებულეს ქართველთა ოჯახებშიაც მივმართე და ვეძებე, მაგრამ პოვნით ვერსად ვერ ვიპოვე. პეტერბურგში და მოსკოვში, სადაც უეჭველია უნდა ყოფილიყოს დაცული, იქაც კი არ ყოფილა ამის ეგზემპლიარი, ამას მე იმიტომ ვამბობ, რადგანაც რუსეთში დაცული ქართული ძველი წიგნების სია, რომელიც ბროსემ შეადგინა, მე წამიკითხავს.

საკვირველია, რომ ამისთანა წიგნი ძველადგანვე ასე გაუვრცელებლად დარჩა; რომ ამ წიგნის ეგზემპლიარები ხალხში არ ყოფილან გავრცელებულნი იქიდამა სჩანს, რომ დღეს მთელ დედა მიწაზე მხოლოდ ორი ეკზემპლიარი თუ დაცულა, ერთი დავით გარეჰსჯის უდაბნოში და მეორეც პეტერბურგში საბინინის ხელში, რომელსაც ამ რამდენიმე წლის წინეთ მოუპოვნია დიდის წვალებით და, როგორც მოხსენებული იყო ხოლმე თვით მის განცხადებაებში, იგი ამ წიგნის დაბეჭვდასაც აპირებს.

სანატრელია, რომ ამ საყურადღებო უზარ მაზარს, ვრცელს და კაპიტალურს წიგნს ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება და როგორმე არ დაჰკარგონ სამუდამოთ.

მე შევიტყე ამას წინეთ, რომ ,,მზა მეტყველების'' ერთი ეგზ. ტარასი არხიმანდრიტსაც ჰქონდაო. ამაზე მე ვკითხე, მისგანვე აღზრდილს და განვითარებულს ბერს იერომონახს ნიკონსა და ამან აღიარა, რომ ,,მზა მეტყველება'' იმის ხელში არ მინახავსო. თვით ტარასისაგან დატოვებული მდიდარი ბიბლიოტეკაც გადავშინჯეთ მე და ამ პატივცემულმა ბერმა, ქვათახევის მონასტერში, მაგრამ იქ არ აღმოჩნდა ეს წიგნი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ თხუზულების ეგზემპლიარი ექნება ვისმეს და ვსთხოვთ მათ, რომ შეატყობინონ ,,მწყემსის'' რედაქციას,

თფილელი.

---

## გორის - ჯვარის ეკლესია და მისი ისტორიული ნაშთები.

,,ქედისის ჩრდილოეთ და გორის პირის-პირ არს ეკკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთ-მოქმედი. თავი წმ. გიორგისა

მდებარებს ჯვარსა შინა *) და უწოდებენ ბორის-ჯვარს: არა იყო მუნ წყალი, მე 94 დედოფალმან რუსუდან მოიტანა ბურეთის მთიდამ.“ ასე მოგვითხრობს ბატონიშვილი ვახუშტი თავის გეოგრაფიულ აღწერაში ბორის-ჯვრის ეკკლესიაზედ. დღემდის სხვა არა რაიმე ცნობა არა გვაქვს ბორის-ჯვარზე. ამ ეკკლესიაზე მეტს ვერაფერს ვერ ნახავთ ვერც „ქართლის ცხოვრებაში“ და ვერც სხვა წიგნებში. შეუტყობელია დღემდის, თუ ვისგან და როდის არის აშენებული ეს ეკკლესია. ზოგიერთი პირების თქმულობით ეს ეკკლესია თამარ მეფეს უნდა აეშენებინოს მტკვრის გაღმიდამ ქორის გადმოყვანის დროს; მაგრამ ეს თქმულობა შეიძლება ითქვას გორისაზედ, რომელიც გორის-ჯვრიდამ აღმოსავლეთ სამხრეთისკენ არის აღშენებული ღვთისმშობლის სახელობაზედ. ეს ეკკლესია აღშენებულია მშვენიერ ფერდობში; დღესაც ეს ეკკლესია დაუშლელად სდგას. ამბობენ, რომ ამ ადგილას წინათ ყოფილა სოფელი და ჰქონია თავის ქა წყაროდ გადმომდინარე, მაგრამ მისი თქმა, რომ ეს ეკლესია თამარ მეფისაგან იყოს აშენებული, ძნელია.

ბორის-ჯვრის ეკკლესია, ჩემის ფიქრით, აშენებულია ერთ იმ მაღალ მთაზე, სადაც წარმართობის დროს ამართული იყვნენ კერპები, რომლებსაც თაყვანსა სცემდა საქართველოს ერი, სწირავდა მსხვერპლად თავიანთ საკუთარს შვილებს ორსავე სქესისას, სანამომდე მეფე რევმა არ განაწესა შვილების მაგიერ ძროხისა და ცხვრის შეწირვა. ჩვენ ვიცით, რომ, როცა საქართველოში მოვიდა მოციქულთა სწორი ნინა განმანათლებელი და გაავრცელა ქრისტეს სწავლა, მან დაამხვრია საკერპოები და მათ ადგილზე აღაშენა ეკკლესიები წმიდა გიორგის სახელობაზედ. აქედამ ადვილი წარმოსადგენია, რომ ბორის-ჯვრის ეკკლესია აშენებული იყოს ძველის საკერპოს ადგილზე; მაგრამ ის, თუ რომელ საუკუნეში არის აღშენებული ეს ეკლესია, დღემდის შეუტყობელია. მაგრამ იმის თქმა კი შეგვიძლია სინამდვილით, რომ ეს ეკკლესია განუახლებია ან ვახტანგ მეფეს და ან მის მეუღლეს რუსუდანს. ამას ამტკიცებს ერთი წარწერა, რომელიც ეხლაც კარგადა სჩანს ერთ ქვაზე. აი რა აწერია ამ ქვაზე: „ქ. ჩვენ მეფის ვახტანგის მეუღლამ, ჩერქეზბატონის ასულმა, დედოფალმა რუსუდან მოვიყვანეთ წყარო ეს წის: · ბის: · წე: · პატრონისა ჩვენინისა გამოსახსნელად, ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად და ძეთა ჩვენთა ბაქარის და გიორგისა აღსაზრდელად „ქკს: · ქ: · “ ამ წარწერის დასამტკიცებლად ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ ალაგს „ქართლის ცხოვრებაში:“ მოვიდა მეჰმედარი ყენისა მიმწოდებელი. მაშინ დაუტევა ვახტანგმა ძმა თვისი სვიმონ გამგებლად ქართლისა და დედოფალი და ძენი თვისნი დაადგინა გორს და თვით წავიდა მცირედითა კაცითა ქს. ჩლიბ (1712 წელსა) ქრ. ქ, აპრილის 23. ამავე ქორონიკონსა აგვისტოს ორს იშვა ძე ვახტანგისა გიორგი გორში დედოფლის რუსუდანისაგან.“

ქვა, რომელზედაც ზემოთ მოყვანილი წარწერა არის, უყურადღებოთ არის მიგდებული. ეს ქვა გულაღმა დევს ეკკლესიის კარებთან მარცხნივ და არაფრით არ არის დაცული, მაგრამ დროთა ვითარებას კიდევ ვერ წაუშლია ეს ღირს შესანიშნავი წარწერა. გასაკვირია, რომ ამ ეკკლესიის მღვდელს ერთხელაც არ მიუქცევია ყურადღება ამ ქვისთვის და არ წაუკითხავს მასზე წარწერა! რადგან აქამომდე არ იცოდა მან თუ რა დიდებული მეფის მეუღლის სახელი აწერია ამ ისტორიულ განძს, ეხლა მაინც მიაქციოს ყურადღება ამ ქვას და შეინახოს ეკკლესიაში ეს ისტორიული განძი. რომ ამ ქვას გარდა ბევრი რამ სხვაც იქნებოდა ამ ეკკლესიაში საყურადღებო და მოწამე ჩვენი წარსული დროისა, ამას ამტკიცებენ დღეს ამ ეკკლესიის ციხე-გალავანი და გალავნის კარები, რომელნიც მოჭედილნი არიან გაპტყელებული რკინის და ფოლადის ნაჭერებით, ნაცვლად თუნუქისა. ძველს ეკკლესიას აქვს ჩრდილოეთის მხრით მიშენებული კოშკი. ამ კოშკში ბევრი რამ იქნებოდა ჩვენი ისტორიისათვის საყურადღებო, მაგრამ ეხლა იქ არაფერია. კოშკის ერთი გვერდი გამომგვრეულია და მისი გამომკვრევი რაღას დასტოვებდა შიგ? მაგრამ ეს გამონგრეული ალაგი ვილასაც ისევ გამოუშენებია. ძველს ეკკლესიაში აქამომდე დარჩენილა უწინდელი დროის მშვენიერი მხატვრობა. თუმცა ეკკლესიის კედლებზე სამჯერ წაუსვამთ კირი, მაგრამ დასავლეთის მხრით, სადაც ახლად წასმული კირი ჩამოცვენილა, მშვენიერად მოჩანან რამდენიმე სურათები, რომლებთაც წელზე ხმლები აკრავსთ. რომ ცოტა კირს გადაფხეკდეთ, მაშინ ნამდვილად შეენიშნავთ მთელს სურათებს და მათ საცმელებსაც. ამასთანავე ბევრი საყურადღებო წარწერა უნდა იყოს ამ ეკკლესიის კედლებზე. კანკელი ამ კკლესიაში არის ქვიტკირის და გალესილია გაჯით. ნამდვილია, რომ ეს კანკელიც ძველის დროის უნდა იყოს. კანკელზე აღსავლის კარების ზემო-

*) ამ ჟამად ს. ორთაშენს აქვს ამილახვრებს ეს ჯვარი.

დამ წარწერაც ყოფილა მხედრული ასოებით, მაგრამ ახლა აღარ ეტყობა. სამხრეთით ერთი დიდი პრტყელი ქვაა დადებული, რომლის სამი კუთხე დამაგრებულია ეკკლესიის კედელში და კანკელში და მეოთხე კუთხე დამაგრებულია ბოძზე. ამ ქვას ქვეშ ძვრებიან მლოცველები და ფიქრობენ, რომ წელი აღარ ეტკინებათ თავის დღეში. პატარა ყმაწვილებსაც აძვრენენ ამ ქვის ქვეშ იმ იმედით, რომ მათ ყვავილი და წითელა აღარ შეეყრებათო. იმედია, რომ ამ ეკკლესიის მღვდელი ყურადღებას მიაქცევს ამ ძველს ეკკლესიას, როგორც ძველი დროის ისტორიის მოწამეს და მასთან მოსპობს ამ ეკკლესიაში სალოცავად მისულ ხალხში იმ ცრუ მორწმუნებათა, რომელთაც ასრულებენ აქ მლოცველები.

ი. ს. დ.

## საისტორიო მასალები. *)

### არზა მეფე თეიმურაზთან კათოლიკოზის ანტონის მიერ ექსორიობასა თვისსა ზედა.

ღმერთმან ჩვენის კელმწიფის საქართველოს მეფეს ცხებულის უფლის პირი მოსცეს, ცოდვათა ჩემგან დანთქმულს, მათს დისწულს ანტონის. თაყვანის ვსცემ მათს სიმაღლეს, და ხელს ვაკოცებ... რა ვქნა ჩემი სინიდისი მამხილებს, რომ ამდენი თავის წყენა არა გაიბედება ჩემგან ასეთი დანაშაული მაქვს; მაგრამ ბუნებითის მოწყალებით ცხადი შეიქმნა, რომ არ მომკალით: ჩემთანა საეჭველი ფლორენციის უკეთურის შესაკრებელისა არღარა არისრა, —წმიდამან სამებამან იცის, და ზეცისა ძალთა იციან,—არც დღეს მჯდომს რომის პაპის წვალების მწიკული ჩემს გონებას შეამწიკულებს, და თუ აღმოსავლეთის ეკკლესიის მართლ-მმადიდებლის სარწმუნოებისათვის დავისჯები, ეგ თქვენის მართლმსაჯულებისაგან არ იქმნება ვიცი. მეც მოგახსენეთ და თქვენმა სიმაღლემაც მიბრძანა რუსეთს წარსვლა. მე დიაღ წყალობად მივითვალე, მაგრამ რომ ასე გამგზავნოთ, იქაც ასე საქმე გამიჭირდეს, მწუხარებისაგან მოვკვდე, და კიდეც წავრწყმდე, აქავ რომ მომ მომკლათ ბევრით უმჯობესია ჩემთვის. თქვენის დისა ჩემის მეტი აღარა არის რა; იმისის სიყვარულისათვის ასეთს წიგნს ნუ გამატანთ — იქ მივიდე სიკვდილი და წარწყმენდა მოიწიოს ჩემზედა: იქაც რომ არ შემიწყნაროს, სადღა წავიდე, ამ ქვეყნიდამ ხომ დავიკარგე და იქ რომ ცოცხალი ვიყო და იქიდამაც არ დავიკარგო, თქვენის სიმაღლის დასაკლისი არა არის რა იქ ცოცხალი ვიყო, და ჩემის სულის მეტი საზრუნავი არა მქონდეს რა ამას გეხვეწებით: მამა არა მყავს, დედა და დაი და თქვენის მეტი ნათესავი არავინა მყ-ვს, ნუგეშინის მცემელი და მოწყალე. ჩემის ცოდვისაგან ახოცილია საქართველოში. ჩემი ობლობა და უდედ-მამობა შეიწყალეთ. მე უძლები შვილი ვარ, და თქვენ სახიერი მამა ბძანდებით, შემიწყალეთ, წარწყმენდასა და სიკვდილს ნუ მიმცემთ. რომელიც ნუსხა მოგართვით რუსსეთს გასატანებელი წიგნი ამ ნუსხის პირით მიბოძეთ. რაც ჩემი საზიანო და დასაკლისი არა სწერია-რა თქვენი საზიანო ხომ არა არის რა. ამ ნუსხას ჩემგან მორთმეულს ნურც მოემატება და ნურც დააკლდება, და თუ ამ წიგნს მიბოძებთ და არ წავალ, ქრისტიანე აღარ ვიქნები, და ამ ნუსხაში რაც ჰსწერია ამ წიგნს არ მიბოძებთ, დასტური მიბოძეთ, იმერეთს მაინც წავალ, და თუ არც იმერეთს გამიშვებთ, მომკალით, სხვა იმის მეტი აღარა იქნება რა. ღირსი არა ვარ შეწყალებისა, მაგრამ თქვენის ხელმწიფის მამის და დედის შვილის-შვილი ვარ და და თქვენის გამზრდელის და დიდად ჭინახულის დის შვილი ვარ. იმათ აპატიეთ, ჩემი დანაშაული, და ასეთს საქმეს ნუ მიზამთ, რომ მწუხარებისაგან მოვჰკვდე და წავრწყმდე და ან ცოცხალი ვიყო და ერთი საკვირველი საქმე რამ დამემართოს. როგორიც ნუსხა მოგართვით, ამისთანა წიგნი მიბოძეთ და თუ ამისთანა წიგნს არ მიბოძებთ როგორ წავიდე, ამისგან უარესი წიგნი როგორ წავიღო. ჭეშმარიტებამ იცის, რომელი სჯად მომავალია, რომ წერილისაგან შევსცდი ამ ორს სიტყვაზედა: სულის წმიდის საქმეზეა და პაპის უფროსობაზედ, ამისგან უფრო თავის წყენა არ იქნება,

### განჩინება კათოლიკოზს ანტონის ზედა, დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად. და კვალად შენდობად და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი.

ჩელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ღვთისა 1755, თვესა დეკემბერსა 16. ჩვენ მეფემან ქართველთამან თეიმურაზ, და ძემან ჩვენმან მეფემან ირაკლიმ და ორთავე ამის სამეფოსა ეპისკოპოზთა მოგიყლინენით არხიმანდრიტი ორნი, შენ ანტონის კატოლიკოზსა ჩვენსა გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ: ამისთვის რომელ, გვესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი, და ილუწიდიცა შეძინებად მათდა იდუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩვენ

*) „მნათობიდამ“.

მიერ არქიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანშჳოდ აღიარა წვალება ლათინთა, და საუწყებელად ჩვენდა გამოუცხადე; და ვითარცა ესე ვსცანით, მყის დაგამსევით საყდრისაგან შენისა, და შენთანა ერთხმანი სამღვდელონი დავსაჯენით, და ერის კაცნი უზიარებელ ვჰყვენით. ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე (გონებასა) ცნობად ქრისტესა სარწმუნოებისა, დაიწყე გოდებად და ტირილად, და შევრდომად და თხოვად შენდობისა, და უარ ჰყავ ბოროტი ცთომილება შენი, და განჰგმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა რომელიცა შეგეწყნარა, და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაჯერენ არღარა მიდრეკად გმობათა მიმართ ლათინთასა.

ხოლო განგიწესედ კანონად დაცადებაჲ შეწირვისაგან უსისხლოჲსა მსხვერპლისა თთუეთა ათვრამეტთა, და მერმეღა შეწირვად სამღვდელოჲსა ლიტურღისა. რამეთუ ესოდენნი თთუენი დაგეყვნეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა და კვალად შემდგომ თთუეთა სამთა განცხადნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უფცხო ყოფა წვალებისაგან (სწავლებისაგან) პაპის მმოსავთა ლათინთასა და სრულიად აღმოსავლეთის ეკკლესიის სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

და ფრიად წადიერ იქმნენ ყოვლითურთ კეთილ მსახურსა, და ყოვლითურთ მართლ-მადიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარსვლად რომელიცა უმეტეს გულისავსე გვჰყოფდა მართლ-მადიდებლობასა შენსა:

ხმას ზედა ყოფთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლენით კანონი, რომელნიცა გაგვეწესნენ, რათა ღირს იქმნე უსისხლოსა მსხვერპლსა შეწირვად ყოვლად წმიდასა საუფლოსა დღესა აკრებისასა, რომელსა დღესა აღსდგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე: და ესრეთ პატივითა მღვდელთ მთავრობისათა წარგგზავნეთ, და ღირს არს შეწყნარება შენი მღვდელ-მთავრად მართლ-მადიდებლად და სადაცა მიხვიდე დაუყოვნებელად ხელყოფად სამღრთოსა ლიტურღიისა და ყოვლისა სამღვდელოთ-მთავროჲსა მოქმედებისა, ვითარცა მღვდელთ მთავარი. რათა აქავე აღსრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა სამთავროსა ჩვენსა და მშვიდობით წარხველ.

ხოლო სამღვდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთხმა იყვნეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თვისნი, და შენთანავე აღიარეს მართლ-მადიდებლობაჲ, და მათცა შეუნდევით მღვდელობად, და მსახურებად სამღთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა.

## კათოლიკოზი ანტონი II.

მეფე ერეკლე, გარდაიცვალა 1798 წ. იანვრის 11 დღეს, შობიდამ 77 წლისა, სამჯერ იყო შეუღლებული თავის სიცოცხლეში. პირველი მისი ცოლი იყო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული ქეთევან, მეორე—ასული ზაალ აბაშიძისა, მესამე დარია (დარეჯან), ასული დადიანისა (ცხოვრ. გიორგი XIII-სა).

პირველის მეუღლისაგან მეფეს შეეძინა ორი ძე ლეონი და ვახტანგი. მეორისაგან: გიორგი და თამარა; მესამისაგან: იულონი, ვახტანგ, თეიმურაზ (ანტონი), მირიანი, ალექსანდრე, ლუარსაბი და ფარნაოზი, მარიამი, ქეთევანი, ანასტასია, ეკატერინე, თეკლე და ელენე. ამათთაგან ვახტანგი პირველის ცოლისაგან და ლუარსაბი მესამისაგან სიყმაწვილეშივე დაიხოცნენ.

მეფის ძე თეიმურაზი *) დაიბადა სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სანკტ-პეტერბურღში აღესრულა პაპა მისი თეიმურაზ II, ესე იგი 8 იანვარს, 1762 წ. და მოსახსენებლად, მოსაგონებლად პაპისა მონათვლაში დაარქვეს მას თეიმურაზი.

თეიმურაზის ცხოვრება 1—20 წ. ბნელით მოცულია. ჩვენ არ ვიცით: ჰქონდა მას რაიმე მოღვაწეობა საზოგადო ასპარეზზე, თუ არა. როგორცა სჩანს ქვემორე მოყვანილის მიტროპოლიტის ვარლაამის (ერისთვის) სიტყვიდამ, მისი აღმზრდელი **) ყოფილა თვით შესანიშნავი მოღვაწე მე XVIII საუკუნისა და დაუღალავი ანტონი I. 20 წლის ბერს ანტონის (თეიმურაზ) ჩვენ ვხედავთ მეფე ერეკლესაგან ხელმწიფა ეკატერინე II-სადმი გაგზავნილს გარსევან ჭავჭავაძის ამალაში (посольство). ეს ამალა გაიგზავნა რუსეთში შესაკრავად იმა პირობათა, რომლებითაც ერეკლეს ჰსურდა შესვლა რუსეთის მფარველობაში. ამნაირივე ამალა გაიგზავნა რუსეთში 1772 წელსაც. (წამომადგენელნი იყვნენ ერეკლეს ძე ლეონი I, კათოლიკოსი საქართველოისა (Бутк. ნაწ. 1 გვ. 286). ამალა ესე დაბრუნდა რუსეთიდამ 1774 წ. ერეკლეს ებოძა ორდენი ანდრია პირველწოდებულისა, ლევანს წმ. ანნასი).

რუსეთის მფარველობა ერეკლესთვის უფრო საჭირო შეიქმნა გენერალის ტოტლებენის შემდეგ.

*) ანტონ I-საც საერო წოდებაში ერქვა თეიმურაზი.

**) ამბობენ აგრეთვე, რომ ანტონი სწავლის დასასრულებლად რამდენიმე წლით წასულიყოს საბერძნეთში, მაგრამ ჩვენ ხელთა მყოფ წყაროებიდამ კი არა სჩანს, რომ ანტონი ყოფილიყოს საბერძნეთში.

ჩეფე ერეკლე 1770 წელს, გაზაფხულზე, მოწვევისამებრ რუსის მთავრობისა, შეუერთდა ტოტლებენის ჯარს. Ორთავე ეს ჯარები შავიდნენ საათაბაგოში, რომელიც მაშინ ეჭირათ ოსმალთა. ბუტკოვი *) ამბობს (281—282 ნაწ. I): „როდესაც მიუახლოვდნენ სოფ. ასპინძას, მდებარეს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე; ახალციხიდამ 35 ვერსტზე, მაშინ მათ შუა (ტოტლებენისა და ერეკლესი), სხვა და სხვა მიზეზთა გამო, მოჰხდა უთანხმოება და ამისა გამო ტოტლებენი დაბრუნდა (რუსეთს) Იმერეთიდამ.“ ერეკლემ აქ თუმცა გაიმარჯვა, მაგრამ გადავიდა მძლავრნი ოსმალნი მით გაიმრავლა ისეც ბევრი მტერნი. რუსებმა კი 1772 წლამდის, რაც კი საქართველოში საკუთარი ჯარი ჰყვანდათ, სულ გაიყვანეს. ქართველნი, გამოწვეულნი ოსმალებთან საბრძოლველად, დარჩნენ უმწეოდ და მტერნი კი: ოსმალნი, სპარსელნი, ლეკნი და სხვა და სხვა ხანნი ყოვლის მხრიდამ მოსვენებას არ აძლევდენ ქვეყანას.

---

*) თორმეტ დეკემბერს 1857 წ. გარდაიცვალა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი აკადემიკი პეტრე გრიგ. ბუტკოვი, ავტორი შესანიშნავის თხზულებისა «Матеріалы для новой исторіи Кавказа 1722 წლიდამ 1803 წლამდე» და აგრეთვე მრავალთა სხვა წერილთა. პატარაობისავე იგი შევიდა ვლადიმირის დრაგუნთა პოლკში და 1791 წ. დაესწრო ომში ანაპასთან. 1796 წ. სპარსეთის ომში იყო. სხვათა შორის 1801-1802 წ. იმას ებარა მთავარ-სარდლის გენ-ლეიტენანტის კ. თ. კნორინის კანცელიარია. 1803 წ. გამოვიდა სამსახურიდამ და განეშორა კავკასიას. 1805 წ. ხელ-ახლა შევიდა სამსახურში. 1809 წ. იგი დაინიშნა გენერალ-აუდიტორიატ-ლეიტენანტად მოლდავიაში, ამ თანამდებობის გარდა იმას ებარა აგრეთვე პ. ი. ბაგრატიონის კანცელიარია. 1811 წ. კიდევ გამოვიდა სამსახურიდამ ავად-მყოფობის გამო. 1820 წ. შევიდა სასულიერო სამინისტროში. 1823 წ. დაინიშნა აუდიტორიატის დეპარტამენტის უმთავრეს შტაბში. 1828 წ. დაინიშნა წევრად საშინაო საქმეთა სამინისტროსი. 1841 წ. იგი მოწვეულ იქმნა აკადემიაში რუსულ ენის და მეტყველების განყოფილებაში. 1844 წ. ებოძა სენატორობა და, როგორცა ვსთქვით, 1857 წ. გარდაიცვალა. (იხ. წინასიტ. გვ. 1-2, მისივე თხზ. ტ. I).

ბუტკოვის თხზულებათაგან ჟერ-ჟერობით, რამდენადაც მე ვიცი, გამოცემულია ორი ტომი, რომელთაგან პირველი შეიცავს 545 გვ. და მეორე 601 გვ. (წიგნები დიდი ფორმატისანი არიან). მესამე ტომი იმავე სათაურით (Мат. для из. нов. ист. Кавк.) შეუდგენია ლ. ბროსეს, როგორც ქრონოლოგიური და ალფავიტური მასალა შესასწავლად ორი პირველი ტომებისა. ეს მესამე ტომიც 620 გვ. ბუტკოვს თვისი წიგნები შეუდგენია ან თვისაგანვე ნახული და გაგონილი ამბებიდამ და ან არხივებიდამ ამოუკრებია. მით უფრო ძვირფასია ბუტკოვის матеріалы ჩვენთვის, რომ იგი, ყოველი მოთხრობილი ამბის ბოლოს, იხსენიებს იმ არხივის საქმის №-საც, რომლიდამაც მას ამოუღია თვისი ცნობები. მაგ. ხშირად იმას მოჰყავს ცნობები სინოდის, სენატის არხივებიდამ და სხ.

Ამ მდგომარეობაში ერეკლე 24 ივლისს 1783 წელს (Бутк. ნაწ. II, გვ. 122) ეკვრის რუსებს პირობით *) (ბიორგიევსკშ).

Პირობებისა ამის წარმადგენად მისი უმაღლესობისადმი პეტერბურღში, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ერეკლემ გაგზავნა მთელი საელჩო, რომელიც შესდგებოდა მეფის ძეებით: ანტონით (ამ დროს თეიმურაზი ბერად ალკვეცილიყო) და მირიანით და გარსევან ჭავჭავაძით.

მოსე ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

---

*) მოგვყავს მოკლედ შინაარსი ამ პირობისა:

1. მეფე ქართლისა და კახეთისა, გარეშე რუსეთის უმაღლესი მფარველობისა, სხვა სახელმწიფოთა (სპარსეთისა ანუ სხვათა) მფარველობას თვისის ჩამამავლობითურთ უარ ჰყოფს.

2. მისი უმაღლესობა რუსეთის ხელმწიფა თვისით და თვისის მოადგილეებით საქართველოს ჰპირდება სამუდამო მფარველობას. დასამტკიცებლად ამისა, ჰპირდება მეფე ერეკლეს, რომ მისი სამეფო დაცული იქნება აწინდელ მის მიჯნებით.

3. ქართლ-კახეთის მეფენი თვის ტახტზე ასვლას დაუყოვნებლივ აცნობინებენ რუსეთის ხელმწიფეს და ითხოვენ დამტკიცებას. მეფეთ ეძლევათ გრამატა, რუსეთის და საქართველოის ღერბებით, ხრმალი, კვერთხი და მანტია. რამწამს მეფე მიიღებს ამ ნიშნებსა, იმავ წამს უნდა დაიფიცოს რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე და მფარველობაზე. ეს წესი ეხლაც შესრულდეს ერეკლესაგან.

4. მეფე პირობას სდებს, რომ დაუკითხავად რუსეთის მინისტრისა ანუ საქართველოს მიჯნებზე მდგომარე უფროსებისა, არა ჰქონდეს არავითარი მოლაპარაკება მეზობელ მფლობელებთან და ყოველთვის დაეკითხებოდეს რუსებსა.

5. პეტერბურღში უნდა იმყოფებოდეს ქართველთ წარმომადგენელი, ხოლო თბილისში რუსეთის მინისტრი.

6. მისი უმაღლესობა (ეკატერინე) პირობას სდებს: 1, ქართველთ მტრებს მოექცეს, როგორც რუსების მტრებს. მშვიდობიანური ზავი, შეკრული ოსმალეთთან, სპარსეთთან, ანუ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან უნდა გავრცელდეს საქართველოს ხალხზედაც. 2, მეფე ერეკლე და მისი ჩამომავალნი უნდა მარადის დაშთნენ ტახტსა ზედა ქართლ-კახეთისასა. 3, შინაური გამგეობა სრულიად ეკუთვნისთ ქართველთ მეფეთ და რუსნი ვერ გაერევიან ამ საქმეში.

7. თვისის და თვისის მოადგილეების მხრით მეფე სდებს შემდეგ პირობებსა: 1, თვისის მხედრობით ყოველთვის მზათ უნდა იყოს მისი უმაღლესობის სამსახურისათვის. 2, ჰქონდეს თანხმობა მის უმაღლესობისაგან განწესებულ უფროსებთან, რუსნი დაიფაროს დევნისაგან და დაჩაგვრისაგან. 3, პატივით მოეპყრას რუსეთის მსახურთა (ჩინოვნიკებს).

8. მისი უმაღლესობის განკარგულებით საქართველოის კათოლიკოზს რუსეთის „არხიერების“ რიცხვში ჰქონდეს მერვე ადგილი, შემდეგ ტობოლის არხიერისა და ეწოდოს წევრი უწმიდესის სინოდისა. საქართველოს ეკკლესიის გამგეობაზე, როდესაც საჭიროება მოითხოვს, შესდგეს სხვა პირობა.

9. მისი უმაღლესობა ჰპირდება, რომ მეფის ქვეშევრდომნი თავადნი და აზნაურნი იქნებიან გათანასწორებულნი სრულიად რუსეთის კეთილშობილებთან. ხოლო მეფემ უნდა წარადგინოს სია ამგვართა პირთა.

## ირაკლი და იმისი დრო.

Ⴙვენს მიწა მამულს,
მტრისაგან წამებულს
ცამ მოუვლინა მეფე ირაკლი;
მამულისთვის ძრწის
დღე და ღამ იბრძვის
არ იცის რა არს მან ტკბილი ძილი.

Ⴄბრძვის Ⴕრისტეს მტერს,
წინ უდგას თვის ერს;
ოთხ-კუთხივ აწევს გვირცხლს, მაგარ მგლავსა;
უსჯულო მტერი
ძლიერი მძლავრი
ვერ დაიმონებს ირაკლის ხმალსა.

Ⴄბრძვის დაღესტანს,
ებრძვის აზატ-ხანს,
ზედ ეფრატზედა სდგას და გზას იჭერს;
ოსმალებს მარჯვნივ
სპარსელებს მარცხნივ
აღტაცებით მას ევროპა უმზერს.

Ⴋაგრამ გაჭირდა;
ივერსა სცდიდა
ისტორიული თვის ეტლი ბნელი;
ნუ თუ დაინთქას
და არ დაიხსნას
ეგოდენ მსხვერპლმა ივერი ძველი?

Ⴌუ თუ მთა-ბართა,
მაგიერ ზართა,
ისმინონ მაღლით ხმა აზანისა,
და გასწყდეს ხმობა
საღმრთო გალობა,
საქართველოში Ⴕრისტეს ტაძრისა!..

Ⴃა დიდსა გზაზედ
სტეფან—წმიდაზედ
თურქთ, სპარსთ, ლეკთ ებყრათ გადასავალი
და მის სიმაღლით
ხელითა მძლავრით
ქრისტიანობას უღერონ ხმალი!

Ⴃა გასწყდეს ძველი
ივერთ სახელი,
წმიდა ტაძარნი მიწას დაეცნენ;
შეგინებულნი
და დარღვეულნი
ერთა უწმინდურთ და ველურთ დარჩნენ!

Ⴌიამღვრით სისხლის
მთა-ბარი ირწყვის.
მამულის შვილნი იხოცებიან
მტერი აწვება,
ერი მცირდება
მაგრამ მის შთენნი მაინც იბრძვიან.

Ⴈბრძვიან მთაში,
იბრძვიან ბარში,
წმიდა ტაძართ წინ და კარის წინა,
,,ძმანო სჯულისთვის
და მამულისთვის''
ეს არის ძახილი ომში და შინა.

Ⴋძლავრდება მტერი,
მცირდება ერი;
ირაკლის გული უწყალოთ გვნესის;
ხედავს მამულსა
სისხლით მორწყულსა
თვის ბედსა, ეტლსა, თვის შობას სწყევლის.

Ⴑიმხნე გაცრევდა,
სისხლი გაცუდდა;
თვის ქალაქის წინ იბრძვის ირაკლი;
გმირნი სწყდებიან,
ვერას შველიან,
ქალაქს ავარდა: ოთხ-კუთხივ ალი.

Ⴈრაკლიმ ნახა;
გულს დაისახა:
მანამ ქვეყნად არს, არის ცოცხალი
არ მისცემს მტერსა
მონად თვის ერსა,
არ ჩაეგება ქარქაშს მის ხმალი.

Ⴐოცა მოკვდება?
ვიღა დარჩება?
ირაკლის ხმალი ვინ ატრიალოს?

---

10. პირობა იკვრის, რომ ქართველთ სურვილისამებრ შეეძლოთ რუსეთში დასახლება და იქიდგან დაბრუნება. ტყვეობიდგან გამოსყიდულ ქართველთაც ეძლევათ უფლება დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში, ხოლო ამისთვის უნდა შემოიტანონ მათ გამოსყიდვაზე დახარჯული ფული. მეფეც ასრეთ უნდა მოიქცეს რუსთ ტყვეობის შესახებ.

11. ქართლ-კახეთის ვაჭართა უფლება აქვთ ივაჭრონ რუსეთშიაც, როგორც რუსის ვაჭართა. საზოგადოდ ზომები მიღებულ იქმნებიან, რომ ვაჭრობა გაუადვილონ ქართველთა და რუსთა ვაჭართა.

12. ეს პირობანი შეიკვრნენ სასაუკუნო ჟამებისათვის. ხოლო თუ დაინახება საჭიროება, რომელიმე ამათგან გამოიცვალოს, ან დაემატოს. ორივე მხრის თანხმობით უნდა შეიცვალოს ან და დაემატოს.

13. რატიფიკაცნი ამ ტრაკტატისა უნდა გაცვლილ იქმნენ 6 თვის განმავლობაში, ანუ უფრო ადრე შეძლებისამებრ.

სახლში არ ვინ ჰყავს,
ის ნათლად ხედავს
უნდა ერის წინ მან აღვიაროს.
და აღვიარა:
,,არ ვინ მყავს არა!‘‘
და ჩრდილოეთი აჩვენა თითით,
ბძანა ,,ვიბრძოლებ,
მანამ ვიცოცხლებ,
აღარ ვიქნები, მას ერს შეერთდით
დრო კი სძალავდა;
აღარ დასცალდა!
აწ გმირი მხოლოდ ორს ადლს მიწას ჰფლობს;
მაგრამ კი მისგან,
მის გმირისაგან
დღეს ჩვენზედ ქრისტეს ნათელი მნათობს.
რადაგვარჩინა!
რას იტყვის ენა?
ჰკითხეთ მშვენიერს ალაზნის ველსა,
არეზის კიდეთ,
ეფრატსა ჰკითხეთ
და ქართლში გორის ციხეს მაღალსა.
ასპინძას მტკვარზედ,
ღრე კლდეთ არაგვზედ,
ჰკითხეთ სომხეთში ერევანს, განჯას,
მის მთათ და ბართა,
წმიდა ტაძართა
და ეფრატზედა სავაჭრო დიდს გზას.
სამშობლოს კუთხეთ
ყოვლის მხრით ჰკითხეთ
და გარდაავლეთ მის კვალთა თვალი:
მათ გულს მოგითხრონ,
მათ გულს გამხილონ
ირაკლიმ მამელს რაც დასდო ვალი!
ჩასვე გვეტყვიან,
გვეუბნებიან
წმინდა საფლავნი მამათ-პაპათა,
სამშობლოსათვის
და სჯულისათვის
მის გვერდით ხელში ხმალით მომკვდართა.
აწ მის დიდს ღვაწლსა,
უზომო კვალსა
სამშობლოსაგან რა უდგას ძეგლი?
მის წმიდა გვამზედ
წმიდა საფლავზედ
ოცი აგური და ფარჩა ძველი!

ვ. ო.

---

## სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ჰაშკევიჩი ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გადმოუყვანიათ ზედამხედვლად. თელავში, როგორც ამბობენ, გადაჰყავსთ ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. ილურიძე. ილურიძის ადგილზე გადაჰყავსთ ზედამხედვლად გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ბ. შიუკოვი და ამ უკანასკნელის ადგილზე გადაჰყავსთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელი ბ. თ. ქ. ბოლოლიუბოვი.

*
* *

ხმები არის, რომ გურიის ეპარხია ცალკე ეპარხიად რჩებაო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, გურიის მცხოვრებთათვის კარგი ამბავი იქნება. ამასთან გადაწყვეტილად ამბობენ ვლადიკავკაზის ცალკე ეპარხიად დაშთენას.

*
* *

ქუთაისში დაარსებულ ქართული საეკკლესიო გალობის აღმადგენელ კომიტეტს განუზრახავს ყველა შესამჩნევი გურული კილოს გალობის მცოდნე პირთა შეკრება ქუთაისში და მათგან აღმორჩეული უკეთესი მცოდნე პირების საშუალებით აპირობენ ნოტებზედ ქართული საეკკლესიო გალობის გადაღებას. იმედია, ეს კომიტეტი ხშირად გვაცნობებს თავის მოქმედებას ამ ჩინებული საქმის მუშაობის დროს.

*
* *

ამ მცირეს ხანში იმერეთის ეპარხიაში სამი ბლაღოჩინი იქმნენ დათხოვნილი თავიანთ თანამდებობიდგან. ეს ბლაღოჩინები ძველი დროისა და უსწავლელთაგანები იყვნენ. მათ მაგიერ ეხლა ყველგან სემინარიელები არიან დანიშნულნი. იმედია, რომ ეს ახალ-გაზდა და ნასწავლნი პირნი დაუმტკიცებენ სასულიერო წოდებას თავიანთ სწავლა-განათლებას და ეცდებიან აღმოფხვრან ის შევიწროება კრებულთა, რომელიც ზოგიერთ სამღვდელოთა ადგა და ადგია დღესაც ძველი ბლაღოჩინებისაგან. იმედია, აგრეთვე ეს ახალ-გაზდა ნასწავლი ბლაღოჩინები შეიტანენ სამღვდელოებაში სწავლა-განათლებას, რომელსაც ასე საჭიროებენ ყველანი.

*
* *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მოგვდის საჩივარი სამღვდელოთაგან ყველა კუთხიდამ, რომ მათ სასწავლებლის შესანახავად შეტანილი ფულის ხარჯის ანგარიში არ მისდისთ და არ იციან, თუ როგორ და რაში იხარჯება მათი შეტანილი ფულები. ჩვენ ძლიერ გვიკვირს, რატომ არ ატყობინებენ სასწავლებელთა სამართველოები ამ ანგარიშს სამღვდელოებას. თუ კი ფულის შემოტანას ითხოვენ სამღვდელოებათაგან სასწავლებლის წესდების ძალით, რატომ თვითონაც არ ასრულებენ იმ სასწავლებლის წესდების კანონს, რომელიც ვალდებულად ხდის სამმართველოთა ეს ანგარიშები ან სასულიერო გამოცემაში დაბეჭდონ და ან ცალკე წიგნაკად გამოსცენ და დაურიგონ სამღვდელოებას.

***

ქვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიაში (შორაპნის მაზრაში) კიდევ მოინათლა წარსულ დეკემბრის თვეში ერთი ებრაელი ქალი ვილნის ქალაქიდამ მოსული.

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

ჩვენ ვკითხულობთ „დროება-ში" შემდეგ საყურადღებო შენიშვნას:

„კავკაზში დაბეჭდილია შენიშვნა ერთის კახეთის მემამულისა (ვაზის ნაცარი) ავადმყოფობის შესახებ (oidium). საჭიროდ ვსთვლით შევატყობინოთ ჩვენ მკითხველებს ამ შენიშვნის შინაარსი: ივლისამდე, მოგვითხრობს მემამულე, ჩემს ვენახში ნაცარი არა ყოფილა; ივლისის 2-ს კი ხეივნის 16 ვაზზე შევნიშნე ჲ მოვაყარე გოგირდი. ამ წამალმა გასჭრა ჲ ხუთის დღის შემდეგ ყურძენი სწრაფად ჰკარგავდა ნაცრის ფერს. ივლისის 10 სხვაგან წაველი ჲ, 21 რომ დავბრუნდი, შეველი ვენახში ჲ გავცვიფრდი: თითქმის ოთხი დღიურის სივრცეზე ვაზისთვის ნაცარი საშინლად შეეყარა ჲ ყურძენი თითქმის სულ ერთიანად გაშავებულიყო. მაშინვე მოვიწვიე ახლო-მახლოდამ გლეხნი ჲ თავად-აზნაურნი ჲ იმათ თანდასწრებით მოვაყარე ყველა ავადმყოფს ვაზებს გოგირდი. ძალიან ცხელოდა ჲ ბევრი ამბობდა, რომ ამ სიცხეში ყურძენი უფრო დაიწვის გოგირდისაგანაო; მაგრამ არაფერი ამ გვარი არ მოხდა. ათი დღის უკან ისევ მოვიწვიე, ვინც წინად იყვნენ, ვანახე გოგირდ-შეყრილი ვაზები ჲ დარწმუნდნენ, რომ ყურძენი სრულიად გაკეთებულიყო. საზოგადოდ ამ ცდამ კარგად ჩაიარა ჲ მეორედ აღარ დასჭირდა გოგირდის შეყრა. ზოგიერთებმა სთქვეს, დარწმუნებულნი რომ ვიყვნეთ, რომ ეგ ღონის-ძიება დაიფარავს ვენახებს ნაცრისაგან ჲ სამერმისოდ აღარ შეაყრის, დავგირავდებოდით ჲ ვიშოვიდით გოგირდსაო, მაგრამ ჩვენ არა გვჯერა ჲ იმიტომ ვერიდებით ხარჯსაო. ზოგნი ამბობდენ, რომ ჩვენ სრულიად დავრწმუნდით, რა კარგი ღონის-ძიებაცა ყოფილა გოგირდი ნაცრის წინაღმდეგ, მაგრამ საშუალება არა გვაქვს, რომ შევიძინოთ და ვისმაროთო.

ეს „არა" ცარიელი სიტყვა არ არის. სადა აქვს მართლა გლეხ კაცს 5-6 მან. გოგირდისათვის? მთელი კახეთი კი გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ნაცრისაგან. მეტადრე წელს იზარალა ამ მხრივ კახეთმა. ვისაც ერთისა ჲ ორის დღის ვენახი ჰქონდა, 10 ბოთლი ღვინოც არ მოსვლია; აზნაურთ ა. 14 დღის ვენახიდგან მხოლოდ 130 თუნგი მოუვიდათ. ვენახების მოცდენას მეტად სამწუხარო გავლენა აქვს ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზე, მეტადრე ხარჯის მძლეველთათვის. გლეხნი ვეღარ იხდიან სახელმწიფო ხარჯს ჲ თან ჲ-თან უფრო ჲ უფრო ღარიბდებიან. მე მგონია, შეიძლებოდა როგორმე მივშველებოდით ხალხს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეეძლო ადგილობრივის ადმინისტრაციის შემწეობით დაერიგებინა გოგირდი ვალად ჲ მერე გამოერთმია ისევ იმავ ადმინისტრაციის შემწეობითვე. თითო სოფელს პირველ-ხნობაზე 8-10 ფუთი ეყოფოდა. ეჭვი არ არის, ამბობს დასასრულ მემამულე, რომ გლეხნი, როცა დაინახავენ, როგორა სპობს ნაცარს გოგირდი, თითონაც დაიწყებდენ მის ყიდვასა ჲ ხმარებას. საჭიროა მხოლოდ, რომ მაგალითი დაინახონ...

---

ამავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში, როგორც სწერენ „რუსკი კურიერს" აზრუმიდამ, საოსმალო სომხეთში ჩასულან ბევრი იეზუიტები ჲ ამერიკელი მისიონერები. პატარა ქალაქ ხარბერტში სცხოვრებს რვა იეზუიტი—წევრნი პარიჟის კაცთ-მოყვარე საზოგადოებისა. აქვე ამერიკელ მისიონერებს გაუხსნიათ პანსიონი. გარემოებით შევიწროებულს მცხოვრებთა შუა მკვიდრი ნიადაგი აქვს ამათ ქადაგებასაო; დიდს მოვარველობას უწევენ ეს პროტესტანტი ჲ კათოლიკე მქადაგებელნი იმ პირთ, რომელნიც ამათ ეკლესიას დაექვემდებარებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე.

# მოძღვრება,

### ახალ-წელიწადს.

დადგა 1885 წელიწადი შობიდგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისაგან ბეთლემის ქალაქსა შინა. ხოლო ქვეყნის შექმნიდამ ეს წელიწადი შვიდი ათას სამას ოთხმოცდა მეცამეტეა, ე. ი. იმ დროიდგან, როდესაც ქვეყანა თავისი გასაკვირველი შენობით, თავისი უმშვენიერესის მთებით, ვაკეებით, ზღვებით, მდინარეებით, ცხოველებით და მფრინველებით დაარსდა. გაიარა სამოცდა ცამეტმა საუკუნემ და თავდება მესამოცდა თოთხმეტე საუკუნე. შეიძლება სთქვას კაცმა, რამდენჯერ შეიცვალენ და გადაბრუნდენ გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი, რამდენი თვე გავიდა, რამდენი კვირა, რამდენი დღე და ისიც შეიძლება კაცმა შეიტყოს, რამდენმა მინუტმა და წამმა გაიარა იმ დროიდამ. შეიძლება გამოიანგარიშოს კაცმა, რომელ საათზე და მინუტზე გამოჩნდებოდა მზე და დაიფარებოდა მთვარე. შეიძლება წინათვე გამოიანგარიშოს კაცმა სისწორით, თუ როდის გამოჩნდება ზოგიერთი ვარსკვლავის ბრწყინვალება ზეცაზე და რომელ ადგილას!..

ჰა დიდი და საოცარი სიბრძნეა! რა გასაოცარია კაცის გონების ნიჭი და მოფიქრება! რა საქებია ის შრომა, მოთმინება და გამოცდილება კაცთა, რომელთა შრომით ყველა ესეები ცნობაში არიან მოსულნი და ყველასთვის ცხადი გასაგებია. ამისთანა გამოანგარიშებით ჩვენ ვიცით, თუ როდის მოხდა შესანიშნავი შემთხვევა ხალხთა შორის, როგორ და რამდენ ხან გაგრძელებულა ხალხთა ქეთილ მდგომარეობა, როდეს და რისგან წევია მათ უბედურება და რამდენ ხანს უწვალებია ხალხი ამ უბედურებათა. ამისთანა გამოანგარიშებით ვიცით, თუ რამდენი ხანი ცოცხლობდენ ჩვენნი წინაპარნი და როდეს განვიდნენ ამ ქვეყნიდამ. საზოგადო ცხოვრებაში ვერ დათვლის კაცი იმ სარგებლობას, რომელიც წარმოსდგება დროს გამოანგარიშებით. დიდი სარგებლობა ეძლევა ყველა ხალხს დროს ანგარიშით.

მაგრამ არის კიდევ, მსმენელნო, ჩვენთვის ერთი დიდი შესანიშნავი საქმე, რომელსაც არ მივაქცევთ ხოლმე ყურადღებას. ეს საქმე არის ჩვენი ცხოვრება ამ ქვეყანაზე, ჩვენი გზა ამა ცხოვრებისა, ჩვენი მსვლელობა, ჩვენი მოძრაობა სულ წინ-და-წინ უკანასკნელ დანიშნულ დღემდე. მინუტები, საათები და დღეები არიან ჩვენი ბიჯნი ამა ქვეყნიური ცხოვრებისა. კვირაები და თვეები არიან სხვა და-სხვა ჩვენი ცხოვრების მოძრაობანი; ხოლო წელიწადი არის დასრულებული დიდი გადასვლა ჩვენის მოგზაურობისა. დატოვებული კიდე ჩვენი ცხოვრების ზღვისა თან და-თან გვშორდება და იფარება ჩვენ თვალთაგან და მომავალი კიდე კი ცხადათ მოჩანს. ყოველ წლობით ჩვენი ცხოვრების გზა თან-და-თან მოკლდება და ცხოვრების ღონენი, როგორც მაგალითებრ: ჩვენი ღონის ძალა, განსაკუთრებითი მოქმედება და გონების შთაბეჭდილებანი მცირდებიან. ამასთან ჩვენს გარეშემო და ჩვენში მრავალი რამ ცვლილება ხდება; ცხოვრების გასრულებისას ჩვენ ცხადათ და აშკარად ვრწმუნდებით, რომ არა ვართ ამ ქვეყნის ნიადაგი, რომ ჩვენ მალე თუ გვიან მივადგებით მეორე კიდეს ახალი საუკუნო ცხოვრების დასაწყებლად, ცხოვრებისა ანუ დიდებულისა და ნეტარისა, ანუ უპატიო და მწარისა, როგორიცა მოუმზადეთ ამ ქვეყანაზე ჩვენს თავს საქმით, სიტყვით, გონებით და გრძნობით.

კი, ძმანო, ესე არს კეთილი და უმეტესად საჭირო მოსაგონებელი ჟამის გამოანგარიშების დროს! აი რაისათვის არის უმეტესად სასარგებლო წლის გამოანგარიშება! ვიცით რა, რომ წლის მომატებით იკლებს ჩვენი ცხოვრების ვადა, ჩვენ უნდა მღვიძარებდეთ, ვცდილობდეთ, რომ არ დასუსტდეს და არ განქრეს ჩვენში სარწმუნოება, რომ არ დავკარგოთ დრო მონანებისა და, ნაცვლად ბოროტთა საქმეთა, შევიძინოთ კეთილნი საქმენი, რომ ამ სახით გამოვსცხადდეთ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესადმი არა ბოროტ და ზარმაც მონებად, არამედ მორწმუნე, კეთილ და ღირსეულ მონებად დასამკვიდრებლად საუკუნოსა და ნეტარსა ცხოვრებასა შინა. ამინ.

# განცხადებანი.

## გაიხსნა ხელის მოწერა 1885 წლისათვის ქართულ სასულიერო გაზეთს „მწყემსზედ"

და „მწყემსი"-ს რუსულ თვიურ დამატებაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2) გაავრცელოს ქართველთა სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილი ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის ასრულებისათვის.

გაზეთი „მწყემსი" გამოვა წარსული წლების მსგავსად ორ კვირაში ერთხელ ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე.

რუსული დამატება „მწყემსი"-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა ორ საბეჭდავ ქაღალდის ფურცელზე—თვეში თითოჯერ.

„მწყემსი"-ს ფასი მთელი წლის გაგზავნით—**ხუთი მანეთი.**

ნახევარი წლის —**სამი მანეთი.**

„მწყემსი"-ს ფასი რუსული თვიური დამატებით ერთი წლისა **ექვსი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ოთხი მანეთი.**

ცალკე რუსული დამატების ფასი წლისა—**სამი მანეთი.**

ნახევარი წლისა—**ორი მანეთი.**

წერილებით და პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: **Въ Квирилу, въ редакцію „МЦКЕМСИ".** (ყვირილაში, „მწყემსი"-ს რედაქციაში).

---

## ჟურნალი „ნობათი"-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთვეო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნობათი"

პედაგოგიური ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი „ნობათი"-სა — ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის-ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანეთიც—მაისში, რომელთაც ამ რიგად ხელის მოწერა სურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში — ჟურნალი „ნობათი"-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და მავერდოვის წიგნის სააგენტოში. ქუთაისში — მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—ეგ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ. როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати".**

რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე. (3—1)

მიიღება ხელის მოწერა გაზეთს

# ,,დროებაზედ"

1885 წლისათვის.

თფილისში—,,დროების" რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

სოფლის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

---

იქვე და იმავე პირებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადებულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ჟურნალს

# ,,ივერიაზედ"

ვინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ჟურნალს ,,ივერიას," უნდა გამოგზავნოს წლის ხვედრი ფული შვიდი მანათი (სოფლის მასწავლებელთათვის ხუთი მანათი) ,,დროების" რედაქციაში ამ ადრესით: **Въ Тифлисъ въ Редакцію ,,Дроэба."**

ვისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან ,,დროება" და ,,ივერია" ერთის წერილით დაიბაროს და ამისთვის ხვედრი ფული **16** მანათი გამოგზავნოს ,,დროებისავე" ადრესით.

რედაქცია ,,ივერიისა" ჰსთხოვს მათ, ვისაც წერილების და სტატიების გამო საქმე ექმნება რედაქციასთან, მიჰმართონ თვითონ რედაქტორს ყოველ დღე დილის რვა საათიდამ დილისვე ათ საათამდე, ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი **№ 1.**

რედაქტორი ,,ივერიისა" ილია ჭავჭავაძე.

---

# ,,РУКОВОДСТВО ДЛЯ СЕЛЬСКИХЪ ПАСТЫРЕЙ"

## въ 1885 году.

Въ мартѣ слѣдующаго года журналъ „Руководство для сельскихъ пастырей" совершитъ 25-й годъ своего существованія. Современи благословенія, которое Св. Синодъ изрекъ этому журналу въ 1860 году, „Руководство для сельскихъ пастырей" по настоящее время неизмѣнно и неуклонно исполняетъ возложенную на него задачу.

Имѣя въ виду значеніе журнала, какъ органа всего пастырства руской церкви, редакція приглашаетъ пастырей доставлять ей свои почтенные труды, касающіеся какой бы то ни было стороны нравственнаго служенія. Ихъ статьи, соотвѣтствующія цѣли и характеру изданія, будетъ помѣщены въ журналѣ, съ благодарностію и приличнымъ вознагражденіемъ.

Въ 1885 году, по примѣру прежнихъ лѣтъ „Руководство для сельскихъ пастырей" будетъ выходить еженедѣльно, отдѣльными нумерами, въ 8-ю долю листа, въ объемѣ 2—3½ печатныхъ листовъ, и годовое изданіе составитъ три тома, каждый около 500 страницъ.

Кромѣ 52 нумеровъ журнала, всѣмъ подписчикамъ будетъ высылатся въ видѣ ежемѣсячныхъ приложеній:

**„Богословско-Библіографическій Листокъ",**

гдѣ помѣщаются исключительно библіографическія замѣтки о вновь выходящихъ и духовныхъ журналахъ, и **„проповѣди"** заранѣе пріорученныя къ послѣдующимъ воскреснымъ и праздничнымъ днямъ и высылаемыя почти за мѣсяцъ впередъ.

Подписная цѣна съ пересылкою во всѣ мѣста Россійской имперіи *шесть рублей.* Плата за журналъ по официальнымъ требованіямъ, како-то: отъ монастырей, правленій духовныхъ семинарій и благочинныхъ, можетъ быть, по примѣру прежнихъ годовъ, разсрочена до сентября 1885 г. Подписка принимается въ редакціи журнала при Кіевской духовной семинаріи.

*Дозв. цензурою Кутаисъ, 31 Декабря 1884 г.* რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.